რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

ბი-პი საქართველო
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BP/OUT/6610/22**

22 აგვისტო, 2022 წ.

ქ-ნ თამარ ფიცხელაურს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

საგანი: დმსმ მილსადენის (KP264+733) მდ. ყვირილას გადაკვეთაზე დაგეგმილი გადაუდებელი ნაპირგამაგრების რეაბილიტაციის სამუშაოების შესახებ

ქ-ნო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, კომპანია BP საქართველო (ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი, იალბუზის ქ. N14), დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (დმსმ) უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, გეგმავს დმსმ-ს KP264+733-ზე მდ. ყვირილას გადაკვეთაზე არსებული გამაგრების ნაგებობების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის გადაუდებელი სამუშაოების განხორციელებას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის და გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 1 ივნისის N21/2171 და 09 აგვისტოს N21/4333 წერილების შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის ფარგლებში, წარმოგიდგენთ:

- კონტრაქტორი კომპანია შპს „აიდისი"-ს მიერ მომზადებულ საინფორმაციო დოკუმენტს (დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების შესახებ და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე).
- GIS შეიპფაილებს - დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის კოორდინატების მითითებით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 13 მაისის N2-03/7111 წერილს - თანხმობა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი"-ს (ს/ნ 202 167 500) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
- 2021 წლის 8 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა, ქ-ნი რუსუდან მეძმარიაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N211130226).

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„23" 08 2022 წ.
№ 4242

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაოების გადაუდებელი ხასიათის გათვალისწინებით;

მოგმართავთ თხოვნით, დაავალოთ თქვენს დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებს, გააუქმონ 2022 წლის 15 აგვისტოს N BP/OUT/6609 განაცხადი, და წინამდებარე წერილის საფუძველზე აღძრული წარმოების ფარგლებში, განიხილონ წარმოდგენილი საინფორმაციო დოკუმენტაცია და მიიღოთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

რ. მეძმარიაშვილი

დანართი:

- სკრინინგის საინფორმაციო დოკუმენტი - 21 ფურცელი;
- GIS შეიპფაილები - 1 CD.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 13 მაისის N2-03/7111 წერილის ასლი - 1 ფურცელი.
- კომპანიის ამონაწერს იურიდიული პირების რეესტრიდან.
- 2021 წლის 8 ოქტომბრის მინდობილობა.